

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი № 5

ქ. გარდაბანი

21 აპრილი, 2022 წელი 12:00 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი:

სამირ ხიალოვი
ლევან ბეგლარიშვილი
ვუგარ მამედოვი
დავით ჭინჭარაული
სახმან მირზოევი
რასიმ ისაევი
ბეთქილ კახიანი
ისლამ მამედოვი
გიორგი გურულიშვილი
კამრან ბაბაევი
დავით ებილაშვილი
ანი მანჩხაშვილი
ზურაბ ბენდელიანი
მადონა გაბროშვილი
აკიფ ისმაილოვი

თამარ ხაჩიძე
ოთარ გავაშელიშვილი
მირზა მირზოევი
ფლორა ასკაროვა
ლევან ნიჟარაძე
მაია შამედოვა
ლაშა ქართლოსიშვილი
ლია მეტრეველი
ანარ მურადოვი
ლალი კახურაშვილი
აბდულალ იბრაგიმოვი
ზურაბ კორახაშვილი
რუსტამ ისაევი
ეველინა ჩოხელი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის
ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი -
ნაია დათუაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების
სამსახურის პირველი რანგის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი - შალვა გურულიშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და
სივრცითი მოწყობის სამსახურის პირველი
რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი - ზვიად აფხაზიშვილი

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი
თანამომხსენებელი: ლევანი ნიჟარაძე

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი 2022 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ზვიად აფხაზიშვილი
თანამომხსენებელი: გიორგი გურულიშვილი

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

დღის წესრიგი:

მუხლი 1

დამტკიცდეს და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შევიდეს შემდეგი პროექტები:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი
თანამომხსენებელი: ლევანი ნიჟარაძე

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი 2022 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ზვიად აფხაზიშვილი
თანამომხსენებელი: გიორგი გურულიშვილი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 30
წინააღმდეგი – 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა, შალვა გურულიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ წარმოგიდგენილი განმარტებითი ბარათი გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს ასახავს.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ გარდაბნის

მუნიციპალიტეტს გამოეყო ტრანსფერი 662,000 ლარი, რომელიც მიმართული იქნება მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

- ✓ სოფელ მარტყოფში ანიშურის წყაროსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 150,000 ლარი;
- ✓ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდა - 200,000 ლარი;
- ✓ სოფელ მარტყოფის სკვერში მონუმენტისა და პიედესტალის მოწყობა - 150,000 ლარი;
- ✓ სოფელ მარტყოფში აპარნის სალოცავთან მონუმენტისა და პიედესტალის მოწყობა - 250,000 ლარი;
- ✓ სოფელ ყარათაკლიაში თავშეყრის ადგილის მოწყობა - 400,000 ლარი;
- ✓ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების (მარტყოფი, ნორიო, ახალსოფელი, ახალი სამგორი, ვაზიანი) წყალმომარაგების სისტემის მოწყობა - 120,000 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა დადგენილებას – „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – 7

მიღებულია დადგენილება №17 – „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

საკითხი 2

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი 2022 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - ზვიად აფხაზიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი 2022 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ და განმარტა, რომ 2022 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო 662 000 ლარი. დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა და დასახლებისათვის თანხის გამოყოფა ხორციელდება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654 დადგენილების შესაბამისად.

კენჭი ეყარა განკარგულებას – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი 2022 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – 7

მიღებულია განკარგულება №53 – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი 2022 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“.

სხდომის დასასრულს საკრებულოს წევრმა, ეველინა ჩოხელმა გააკეთა განცხადება ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვების შესახებ და მიზეზად დაასახელა ზეწოლა

მასზე და არასასურველი დავალებების შესრულება, რაც მის ღირსებასა და პატივს შეურაცხყოფდა. სწორედ ამ მიზეზით დატოვა მან ფრაქცია და დამოუკიდებელი წევრის სტატუსით განაგრძობს საკრებულოში მუშაობას მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

მიხეილ გედეხაური

